

პროექტის E-VOICE-ის პარტნიორების შეხვედრა რუმინეთში

19-დან 21 აპრილამდე გაიმართა პროექტის “E-VOICE: A Voice for Europe”, პარტნიორების და იტალიელი ახალგაზრდების დელეგაციის შეხვედრები მიოვენში (რუმინეთი), სადაც განიხილეს COVID-19 პანდემიის გავლენა ცხოვრების წესსა და განათლებაზე.

სამი დღის განმავლობაში 6 ქვეყნის წარმომადგენლებმა მიოვენის ორი უმაღლესი სკოლის მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან (Liceul Teoretic “Iulia Zamfirescu” და Liceul Tehnologic Construcții de Mașini Mioveni), ასევე სოციალური დახმარების განყოფილების დირექტორთან ერთად განიხილეს COVID-19-ის შედეგები განათლებაზე, ფსიქიკურ ჯანმრთელობასა და სოციალურ დინამიკაზე.

ახალგაზრდებს შესაძლებლობა ჰქონდათ გაეგოთ, როგორი იყო მათი თანატოლების ადამიანური, ემოციური, კულტურული და სოციალური რეაქცია პანდემიაზე, როგორც მათ ადგილობრივ საზოგადოებაში, ასევე სხვა ქვეყნებში. დისკუსიები ფოკუსირებული იყო განათლებაზე და პანდემიის არაპროგნოზირებად ზემოქმედებაზე ახალგაზრდებზე.

სამდლიანმა ღონისძიებამ პროექტის კონსორციუმს საშუალება მისცა განეხილათ ახალგაზრდების ჩართულობა პოსტპანდემიურ პერიოდში

კონსორციუმს საშუალება ჰქონდა მოენახულებინა მიოვენის ცენტრალური საავადმყოფო, სადაც განიხილეს COVID-19 პანდემიის გავლენა ჯანდაცვის სისტემაზე, თუ როგორ უწევდათ ექიმებს ყოველდღიურად ადაპტირება COVID-19-ის გამოწვევებთან.

შემდეგ მოინახულეს წმინდა პეტრე-პავლობის მართლმადიდებლური ტაძარი, მიოვენის მანქანათმშენებლობის უმაღლესი ტექნოლოგიური სკოლა და გოლემტის მევენახეობისა და მეღვინეობის მუზეუმი.

პროექტი „მოქალაქეთა თანასწორობის, უფლებებისა და ღირებულებების (CERV)“ პროგრამის ფარგლებში ხორციელდება 7 ქვეყნის პარტნიორობით - იტალია ([Gazzo](#)), რუმინეთი (Mioveni), ხორვატია ([Sibenik](#)), ბულგარეთი ([Union Of Bulgarian Black Sea Local Authorities – UBBSLA](#)), ესპანეთი ([Fondo Andaluz de Municipios para la Solidariadad Internacional- FAMSI](#)), ბელგია ([Association of Cities and Regions for Sustainable Resource Management- ACR+](#)) და საფრანგეთი ([ALDA – The European Association for Local Democracy](#)).

პროექტის შემდეგი ეტაპი სექტემბერში შიბენიკში (ხორვატია) გაიმართება. თვალყური ადევნეთ ახალ ინფორმაციებს!

ALDA -ს ახალი წევრები

საპროექტო წინადადებების კონკურსი